საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

16/09/2025

MES 0 25 0001155817

გადაწყვეტილება
შპს "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის" "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

1.3. „აკრედიტაციის დებულების" 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების" 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 ივნისის №690855 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება. თუმცა, შეცვალა ზოგიერთი რეკომენდაციის ფორმულირება.

შემდეგი რეკომენდაციები გადავიდა რჩევებში:

- „რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩაერთოს ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე და ეს შედეგები გასაგებად და სრულად მიეწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს;“ - 1.2 კომპონენტი
- „რეკომენდებულია, გადაიხედოს არჩევითი კურსების ბლოკი, შეფასდეს მინიჭებული კრედიტების შესაბამისობა და განხორციელდეს საჭირო ცვლილებები;“ - 1.4 კომპონენტი
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს კურიკულუმის მოდულური სტრუქტურა, რათა პროგრამამ უკეთ შეძლოს სპეციალისტების მომზადება სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოსთვის, მათ შორის სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების დაწესებულებებისთვის. მოდულური მიდგომა უნდა მოიცავდეს მიზნობრივ კურსებს, რომლებიც მისცემს სტუდენტს სპეციალიზებულ, სიღრმისეულ ცოდნას, რომელიც მორგებული იქნება სხვადასხვა საგანმანათლებლო სექტორის მართვისა და ფუნქციონირების სპეციფიკაზე. - 1.4 კომპონენტი
- რეკომენდებულია შემუშავდეს დეტალური რუბრიკა პორტფოლიოს, ინგლისური ენის ტესტისა და ესეს შეფასებისთვის. - 2.1 კომპონენტი
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ყურადღებით აკონტროლოს პროგრამის ფინანსური განხორციელება საქმიანობის პირველი წლის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში შეასწოროს ფინანსური პროგნოზები.
  - 4.5 კომპონენტი

საბჭომ შეცვალა რეკომენდაციების ფორმულირება: 4.1 კომპონენტი

- "რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, რომლებსაც დოქტორის ხარისხი აქვთ განათლების ან განათლების მართვის სფეროში. იმის უზრუნველყოფა, რომ ლექტორების კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს იმ საგნებს, რასაც ისინი ასწავლიან, ძალიან მნიშვნელოვანია აკადემიური

ხარისხისა და პროგრამის თანმიმდევრულობისთვის." რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: "რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, რომლებსაც ექნებათ დოქტორის აკადემიური ხარისხი სასწავლო კურსის/საგნის შესაბამის სფეროში."

- "რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს კვალიფიციური აკადემიური კადრების შენარჩუნების გზები, მათ შორის: ფინანსური წახალისების მექანიზმები, კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და ლოგისტიკური სირთულეების გათვალისწინება, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა რეგიონებიდან პერსონალის მოზიდვასთან." რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: "რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და ლოგისტიკური სირთულეების გათვალისწინება, რომლებიც დაკავშირებულია ხვადასხვა რეგიონებიდან პერსონალის მოზიდვასთან."

საბჭომ შეცვალა რეკომენდაციების ფორმულირება: 4.2 კომპონენტში

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ პოტენციური ხელმძღვანელების აკადემიური კვალიფიკაცია და კვლევითი გამოცდილება შეესაბამებოდეს პროგრამის კონკრეტულ მიმართულებას - განათლების ადმინისტრირებას. შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაციის არმქონე პერსონალს არ უნდა დაევალოს სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ პოტენციური ხელმძღვანელების აკადემიური კვალიფიკაცია და კვლევითი გამოცდილება შეესაბამებოდეს სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ მიმართულებას.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის ინსტიტუციური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელობის უფლების მიღების პირობებს, სამუშაო დატვირთვის მაქსიმალურ ზღვარს, სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობას, და ასევე რამდენად უნდა იყოს ხელმძღვანელი ჩართული კვლევით საქმიანობაში.

რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დახვეწოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის ინსტიტუციური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელობის უფლების მიღების პირობებს, სამუშაო დატვირთვის მაქსიმალურ ზღვარს, სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობას, და ასევე რამდენად უნდა იყოს ხელმძღვანელი ჩართული კვლევით საქმიანობაში.

მოიხსნას რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დეტალურად განსაზღვროს სპეციალობის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ძირითადი კითხვების სია, შესაბამისი ლიტერატურა, გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები. - 1.1 კომპონენტი

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები შეიცვალა. კერძოდ, 1-ლი და მე-2 სტანდარტი ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან." ხოლო მე-4 სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტები ნაცვლად ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან."

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს “ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 01 სექტემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 16 სექტემბრის №1154033 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს კურსების „კურიკულუმის შემუშავება და განვითარება“ და „განათლების ხარისხის უზრუნველყოფა“ მიზნები, შინაარსი და მიღწევადობა. კრედიტების განაწილების გადახედვის საფუძველზე, რეკომენდებულია საჭიროებისამებრ გადაკეთდეს აღნიშნული კურსები და დაიყოს ცალკე მოდულებად, რომლებიც მოერგება სხვადასხვა საგანმანათლებლო დონის სპეციფიკურ საჭიროებებსა და თავისებურებებს და თან შესაბამისობაში იქნება ქართული საგანმანათლებლო სისტემის რეალურ კონტექსტთან. რეკომენდებულია, განახლდეს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა გარდა ამისა,
2. რეკომენდებულია საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული ლიტერატურის სია გამდიდრდეს ისეთი მასალებით, რომლებიც შეესაბამება და ასახავს ქართული განათლების სისტემის კონტექსტს.
3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გააფართოოს პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი, რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს თანაბარი და მნიშვნელოვანი წვდომა მრავალფეროვან პროექტულ გარემოებებზე.

4. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა რეგულარულად ჩაატაროს სტუდენტური კონფერენციები და ხელი შეუწყოს სტუდენტების მონაწილეობას ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ფინანსური ან ადმინისტრაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფით.
5. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მკაფიო მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების შესაბამის თანაფარდობას. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფას ხელმძღვანელობის პროცესში და უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომების წარმატებით დასრულებას პროგრამის ფარგლებში.
6. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, რომლებსაც ექნებათ დოქტორის აკადემიური ხარისხი სასწავლო კურსის/საგნის შესაბამის სფეროში.
7. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და ლოგისტიკური სირთულეების გათვალისწინება, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა რეგიონებიდან პერსონალის მოზიდვასთან.
8. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ პოტენციური ხელმძღვანელების აკადემიური კვალიფიკაცია და კვლევითი გამოცდილება შეესაბამებოდეს სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ მიმართულებას.
9. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დახვეწოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის ინსტიტუციური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელობის უფლების მიღების პირობებს, სამუშაო დატვირთვის მაქსიმალურ ზღვარს, სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობას, და ასევე რამდენად უნდა იყოს ხელმძღვანელი ჩართული კვლევით საქმიანობაში.
10. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დანერგოს სავალდებულო ტრენინგი ან საორიენტაციო პროგრამა ხელმძღვანელებისთვის, სადაც განიხილავენ ხელმძღვანელობის ეთიკურ პრინციპებს, კვლევითი მეთოდოლოგიის შესაბამისობას და სტუდენტების მხარდაჭერის სტრატეგიებს.
11. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს სტრუქტურირებული, პროგრამაზე მორგებული უწყვეტი პროფესიული განვითარების გეგმა ამ სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომელიც მოიცავს მაგისტრატურაში სწავლების, ხელმძღვანელობისა და შეფასების სტრატეგიების შესავალ კურსებს.
12. რეკომენდებულია ასევე გაიწეროს და ფუნქციურად ამოქმედდეს ურთერთშეფასების ან დაკვირვების მექანიზმები, განსაკუთრებით ნაკლები გამოცდილების მქონე ლექტორებისთვის, და უზრუნველყოფილ იქნას ყველა პერსონალის თანაბარი წვდომა კვლევითი განვითარების შესაძლებლობებზე.
13. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს კომპლექსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კვლევით მხარდაჭერას. ამ გეგმით სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა მონაცემთა ანალიზის პროგრამულ უზრუნველყოფაზე, აკადემიური წერისთვის საჭირო რესურსებზე და ციტირების პროგრამებზე.
14. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დანერგოს პროგრამის ფინანსური მდგომარეობის ყოველწლიური შეფასების მექანიზმი, რათა უზრუნველყოს სამაგისტრო განათლების ცვალებად საჭიროებებზე დროული რეაგირება.
15. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების გაძლიერება სამაგისტრო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, რაც გულისხმობს ხელმძღვანელის შეფასებისა და პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმების შემუშავებას და მათი ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფას პროგრამის უწყვეტი განვითარებისათვის.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 2 სექტემბრიდან.
6. დაწესებულებას ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვროს 2026 წლის 2 სექტემბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
მფარველობა
ელექტრონული

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0188 ინტერდისციპლინარული -მოიცავს განათლებას
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ფრიდონ ხალვაშის გამზირი 237, 6010, ბათუმი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	02/09/2025
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად /მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად ვადა 02/09/2026
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	01/09/2032